ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის ოქმი № 12

2 მაისი , 2018 წელი
15 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

გიორგი ბირბიჩაძე

გულია გოცირიძე

კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძე

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ირაკლი ზარქუა

იურიდიული კომისიის თავმჯდომარე-ლევან ჟორჟოლიანი

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე-გიოორგი ჩაკვეტაძე

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე-ერეკლე კუხიანიძე

ასევე საკრებულოს წევრები: ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ქეთევან ჯოხაძე, ლევან დარახველიძე, ლადო ძნელაძე, დავით უთმელიძე.

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედნისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, მირ ვეზიროვის ქუჩისთვის ნიკოლოზ ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სერგო სურგულაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ევგენი გეგეჭკორის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვასილ კიკვიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩისთვის ნოე ხომერიკის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩისთვის გიორგი ლასხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩისთვის ელისაბედ ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის ეკატერინე მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მელიტონ ფილიას ქუჩისთვის სიმონ მდივანის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სამსონ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ
14. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის ალექსანდრე ლომთათიძის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის ვლასა მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთისთვის პეტრე სურგულაძის სახელის მინიჭების შესახებ

კომისიის სხდომაზე თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები წარმოადგინა და ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელის მინიჭების ინიციატივა გააჟღერა. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა „ჩვენ ბოლო პერიოდის განმავლობაში ინტენსიური კონსულტაციები გვქონდა კოლეგებთან. არსებობს ინიციატივა, რომ ქალაქში შემორჩენილ საბჭოთა ოკუპაციასთან ასოცირებული პიროვნებების სახელობის ქუჩებს ვუწოდოთ დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმომწერ საზოგადო მოღვაწეთა სახელები, ხოლო ვარდების რევოლუციის მოედანს მიენიჭოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელი. წელს, 26 მაისს დამოუკიდებლობის მოპოვების 100 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, ვფიქრობ მნიშვნელოვანია ამ თარიღის საკადრისად აღნიშვნა, რამეთუ 1918-1921 წლების რესპუბლიკა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საფუძველი და უმნიშვნელოვანესი მოვლენაა უახლესი საქართველოს ისტორიაში “.

თინათინ ნიბლოშვილის განცხადებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესაბამისად, საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მოსაზრებების საფუძველზე კომისია დღეს მოახდენს წარმოდგენილი საკითხების ინიცირებას, რის შემდგომაც საჯარო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით მოხდება საკითხების გამოქვეყნება საკრებულოს ოფიციალურ ვებ გვერდზე. საჯარო განხილვა გაიმართება

გამოქვეყნებიდან 20 დღის გასვლის შემდეგ. საჯარო განხილვის პარალელურად ჩატარდება კომისიის კიდევ ერთი სხდომა, რომლის საფუძველზეც მომზადდება შესაბამისი დასკვნა და წარედგინება საკრებულოს ბიუროს შემდგომი პროცედურებისთვის.

მიუხედავად განმარტებებისა, საკითხის განხილვას სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ირაკლი ნადირაძემ და ფრაქციის წევრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ხელისუფლება ისტორიის წაშლის მცდელობაში დაადანაშაულეს. მათივე თქმით, საკითხი საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს და ნაჩქარევი იყო სხდომაზე მისი განსახილველად გამოტანა. ირაკლი ნადირაძის განცხადებით,საკითხის სხდომაზე საჯარო განხილვის გარეშე გამოტანით ირღვევა სახელდების წესის კონკრეტული მუხლები.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ კომისიამ საკითხის მხოლოდ ინიცირება მოახდინა და ოპოზიციის წარმომადგენელი საკრებულოს კომისიის სხდომაზე საკითხის ინიცირების წესების არცოდნაში დაადანაშაულა. მან აღნიშნა, რომ პროცედურები არანაირად არ ირღვევა, რადგან საჯარო განხილვის უზრუნველყოფა შემდეგი პროცესია და პროცედურები ზედმიწევნით იქნება დაცული. ამასთან, ეს არის სახელმწიფოებრივი და არა პოლიტიკური საკითხი, როგორც ამას ოპოზიცია აცხადებს. მოედნისთვის სახელის ცვლილება არ ნიშნავს ქვეყნის განვითარების ასპექტების ცვლილებას.

კომისიის სხდომა დაძაბულ და ურთიერთბრალდებების ფონზე გაგრძელდა. ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ნაციონალურ მოძრაობას თავად ჰქონდა მცდელობა, რომ ისტორია 2003 წლიდან დაეწყოთ. გიორგი ჩაკვეტაძემ კი მთავარი მოედნისთვის რესპუბლიკის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროპის ქვეყნების გამოცდილებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ აღნიშნული სახელდება არანაირად არ წარმოადგენს პოლიტიკურ დაკვეთას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი კომისიის წევრებმა და უმრავლესობის წარმომადგენლებმა.

ირაკლი ნადირაძემ და ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვის შემდეგ დატოვეს.

თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხის განხილვის შემდეგ სხდომაზე კიდევ 15 საკითხის ინიცირება მოახდინა. მისი განცხადებით, თბილისის რამდენიმე ქუჩას გადაერქმევა ჯერ კიდევ საბჭოთა

პერიოდიდან შემორჩენილი რევოლუციონერთა სახელები და მიენიჭება საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმომწერ საზოგადო მოღვაწეთა სახელები.

კომისიის წევრების გადაწყვეტილებით წარმოდგენილი საკითხები დადგენილი წესით დარეგისტრირდება ინიციატივებად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

2 მაისი, 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი